2-7604/21
14-06-2021

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

თქვენთვის როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილია შემდეგი საკანონმდებლო წინადადებები:

- გიზო ჭყოიძის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის წევრობის კანდიდატის მოვალეობების შესახებ (N1-4838/21; 14.04.2021) (განხილვის ბოლო ვადაა 2021 წლის 14 ივნისი);
- არასამთავრობო ორგანიზაციების: „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ (დანიელ დავითაშვილი), „მწვანე დედამიწის“ (ნუგზარ მელაძე), „ახალი თაობა დემოკრატიული არჩევნების“ (გია გარსევანიშვილი), „სამოქალაქო საზოგადოების და დემოკრატიის განვითარების ცენტრის“ (ლადო ბოჟაძე), „დემოკრატიული მართვის განვითარების ფონდის“ (გია მახარაძე), „ჯერ საქართველოს“ (ზვიად წამალაშვილი), „ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ (ტატიანა ხოხიაშვილი), „თავისუფალი არჩევანის“ (მანანა ბიწაძე-მიქელაძე), „სოციალური მონიტორინგის ცენტრის“ (მაკა როსტიაშვილი), „დემოკრატიული რეფორმების ცენტრის“ (მიხეილ კვესაძე), „ძლიერი საქართველოსთვის“ (თინათინ დოლიძე), „დემოკრატიული მართვის ცენტრის“ (იოსებ ჯანელიძე), „სამოქალაქო ალიანსი განვითარებისთვის“ (ირაკლი შეთეკაური), „გლობალური კვლევების ცენტრის“ (ნანა დევდარიანი), აგრეთვე გიორგი ჟორჟოლიანის, გოჩა ჯოჯუას, მამუკა გიორგაძის, თამაზ მეჭიაურის, აკაკი ასათიანის და გოჩა თევდორაძე მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტთან დაკავშირებით (N1-5010/21; 16.04.2021) (განხილვის ბოლო ვადაა 2021 წლის 14 ივნისი).

აღნიშნულ საკანონმდებლო წინადადებებზე წამყვან კომიტეტად განსაზღვრულია იურიდიულ საკითხთა კომიტეტი. მათი სრულყოფილად მომზადებისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ვადების დაცვის მიზნით, გთხოვთ, ამ საკანონმდებლო წინადადებების საკომიტეტო განხილვის ვადები გაგრძელდეს 30 დღით.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ანრი ოხანაშვილი